

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 2 სექტემბრის N70/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულების და სეზ-ის პრეზიდენტის 2012 წლის 27 თებერვლის N9 განკარგულებისა, 2012 წლის 10 მაისს, დღის 12 საათზე, საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციულ შენობაში (ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი N208) ჩატარდება საჯარო აუქციონი, საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

ცხრილი №1

N	ავტომანქანის დასახელება	სარეალიზაციო ფასი (ლარებში)
1	მერსედეს ბენცი E280, სახ. ნომერი AKA 678, გამოშვების წელი 1998	5,670.00
2	მერსედეს ბენცი E200, სახ. ნომერი CEC 339, გამოშვების წელი 1993	3,240.00
3	მერსედეს ბენცი E200, სახ. ნომერი WBW 921, გამოშვების წელი 1995	3,645.00
4	ფორდ-მონდეო, სახ. ნომერი ABJ-248, გამოშვების წელი 1993	2,025.00
5	შევროლე საბარბანი (დაჯავშნული), სახ. ნომერი VIV-633, გამოშვების წელი 1999	21,870.00
6	შევროლე საბარბანი ჯიპი, სახ. ნომერი VIV-626, გამოშვების წელი 1999	12,150.00
7	მერსედეს ბენცი 709, (დაჯავშნული) სახ. ნომერი LIL-893, გამოშვების წელი 1995	8,910.00
8	მერსედეს ბენცი E320, სახ. ნომერი QXQ-303, გამოშვების წელი 1998	6,885.00

ლოტების საწყისი სააუქციონო ფასი განსაზღვრულია N1 ცხრილში მითითებული ფასების მიხედვით.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს“ მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10%-ს, (პირმა, რომელსაც სურს მიიღოს მონაწილეობა ქონების რამდენიმე ობიექტით ვაჭრობაში, უნდა გადაიხადოს ბე ცალ-ცალკე ყველა ობიექტისათვის), რომელიც ჩარიცხული/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის N117904101 ანგარიშზე (ს/კ 203 824 148, ბანკის „SWIFT“ კოდი: BNLNGE22). განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილის და ობიექტის შესახებ) „ბე“-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი“. აუქციონზე უმცირესი ბიჯი შეადგენს 100 ლარს. აუქციონის დასრულების შემდეგ დგება ოქმი,

რომლის ხელმოწერიდან ხუთ სამუშაო დღეში მყიდველმა ოქმში მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს ობიექტის მთლიანი თანხა ან ნახევარი მაინც, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს, ნაღდი ფულით ან გადარიცხვით. იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნულ ვადაში მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების მხოლოდ ნახევარი, გადახდის ვადა გახანგრძლივდება კიდევ 30 კალენდარული დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან დროულად არ შეიტანს საჭირო თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შექმნაზე და გადახდილი თანხა და „ბე“ არ დაუბრუნდება. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების რეალიზაციის მიზანია საკუთრების უფლება მიენიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

პირს უფლება აქვს ბეს დაუკავებლად უარი განაცხადოს წერილობითი ფორმით საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე 48 საათით ადრე.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. აუქციონის შემდეგ გაყიდული ქონების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ მათი მყიდველისგან პრეტენზია არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ თამარ რუსეიშვილს, (ტელ: 240-64-97, მობ: 599 57-45-64, მის: ქ. თბილისი, ლეონიძის 3/5, ოთახი N312) ელ. ფოსტა truseishvili@nbg.gov.ge, ავტომობილების სანახავად მიმართეთ: ბექა ბარბაქაძე (ტელ: 240-63-97, მობ: 577 98-40-34), ალექსანდრე კირვალიძე (ტელ: 240-63-99, მობ: 577 33-10-07) მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი N119.

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია